საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/145

ქ. ბათუმი -21- ივნისი, 2022 წ.

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-7 მუხლის, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/86 დადგენილების, „ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/86 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ოქტომბრის №06-01/114 და 2022 წლის 28 მარტის N06-01/27 დადგენილებით), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2022 წლის 16 ივნისის MES 7 22 0000657893 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანების დანართი N1-ის მე-7 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის <u>ადმინისტრაციული რეგისტრაცია</u> (მე-8 ნაკადის ჩათვლით ჩარიცხული პირებისათვის) დასრულდეს 2022 წლის 18 აპრილს (სწავლის საფასურის დავალიანების მქონე პირთათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტი გამოიცეს არაუგვიანეს 2022 წლის 24 ივნისისა)."

2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილეებმა.
4. წინამდებარე ბრძანების შესაბამისად მომზადდეს კოდიფიცირებული აკადემიური კალენდარი, თარგმნილი იქნეს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საინფორმაციო

ტექნოლოგიების სამსახურმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე („სწავლა“-„აკადემიური კალენდარი“ და ინგლისურენოვან ველში „სტუდენტის გზამკვლევში' ახალი ჩანართის - „აკადემიური კალენდარი“ დამატებისათვის).

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**